# საზოგადოებრივი ადვოკატი

№ 7
31 აგვისტო
2010

იურიდიული დახმარების სამსახური – მთელი საქართველოსთვის


## ახალგაზრდა ბიურო სამცხე-ჯავახეთში – ცნობადობასთან ერთად ნდობაც იზრდება



3 გვ.

## ყაჩაღობაში ბრალდებულის საქმე წინასწარ გამოძიებაშივე შეწყდა

2 გვ.

## თქვენი მეგზური

როგორ და სად მივმართოთ იურიდიული დახმარების სამსახურს

4 გვ.

### იურიდიული დახმარების სამსახური

- სისხლის სამართლის საქმეზე უფასო საადვოკატო მომსახურება გადახდის უუნარო მოსახლეობისათვის;
- უფასო იურიდიული კონსულტაციები სამართალწარმოების ნებისმიერ დარგზე - სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავები; საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში იურიდიული დოკუმენტების მომზადება;
- იურიდიული დახმარების ბიუროები მთელი საქართველოს მასშტაბით: თბილისში, თელავში, მცხეთაში, რუსთავში, გორში, ზესტაფონში, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ამბროლაურში, ოზურგეთში, ახალციხეში.

# დევნილების თანადგომა იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტია

***დევნილი თავისი სტატუსიდან და განვლილი ცხოვრებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მგრძნობიარე ფენაა, ამიტომ მათთვის ყურადღების მიქცევა და დახმარების გაწევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კანონმდებლობით იურიდიული დახმარების სამსახურს სოციალურად დაუცველ სხვა ფენასთან ერთად იძულებით გადაადგილებულთა უფასო იურიდიული მომსახურებაც ევალებათ. თუმცა, გარდა კანონის მოთხოვნისა, საზოგადოებრივი ადვოკატები დევნილების დასახმარებლად სხვა ღონისძიებასაც მიმართავენ, კერძოდ, ბოლო წლების განმავლობაში ისინი სისტემატურად ხვდებიან დევნილებს, როგორც აფხაზეთიდან ასევე სამხრეთ ოსეთიდან და საცხოვრებელ ადგილზევე არა მარტო იურიდიულ დახმარებას უწევენ, არამედ ეხმარებიან სხვა სოციალური პრობლემების მოგვარებაშიც.***



როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს კონსულტანტი დიმიტრი სამხარაძე აღნიშნავს, იურიდიული დახმარების სამსახურის შექმნის მთავარი მიზანი იყო იმ ადამიანებისთვის იურიდიული დახმარების გაწევა, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველნი, მატერიალურად შეჭირვებულნი და ვისაც არ აქვს საშუალება თანხა გადაუხადოს კერძო ადვოკატს. მათ რიცხვში შედიან ის ადამიანებიც, რომელთაც მინიჭებული აქვთ იძულებით გადაადგილებულის - დევნილის სტატუსი.

„ამ კატეგორიის ადამიანები არა მარტო მატერიალურად არიან გაჭირვებულნი, არამედ მათ მორალურადაც ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვთ. ამიტომ, ამ ადამიანების მიმართ თანადგომის გამოხატვა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი მიზანია არა მარტო მოვუსმინოთ ამ ხალხს და მათი გასაჭირი მივიტანოთ გულთან, არამედ რეალურად მივიღოთ მონაწილეობა დევნილების პრობლემების მოგვარებაში. აქედან გამომდინარე, ჩვენი მხრიდან ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა ღონისძიების მოწყობა, კონსულტაციები, შეხვედრები,“ - ამბობს იურიდიული დახმარების სამსახ-

***გაგრძელება მე-2 გვ.***

# საზოგადოებრივი ადვოკატები ძებნილის ინტერესებს იცავენ

***საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად პირს, რომელიც თავს აარიდებს საგამოძიებო მოქმედებებს, შესაძლოა არა მარტო დაუსწრებლად წარედგინოს ბრალი, არამედ სასამართლოს შეუძლია მის გარეშე განიხილოს სისხლის სამართლის საქმე და სასჯელიც შეუფარდოს. მიუხედავად იმისა, რომ ძებნილი ადამიანი საკუთარი უფლებების დაცვაზე თავისივე სურვილით ამბობს უარს, სახელმწიფო, ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით, თავად არეგულირებს ამ პრობლემას. მას შემდეგ, რაც პირი ძებნილად გამოცხადდება, საგამოძიებო თუ სასამართლო ორგანოები, ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე, საქმეში იურიდიული დახმარების ადვოკატების ჩართვას ითხოვენ. რატომ არის საჭირო ძებნილის ინტერესების დაცვა და რა მოთხოვნები აქვს კანონს? - ამ საკითხზე იურიდიული დახმარების თბილისი ბიუროს ადვოკატი თამარ გაჩეჩილაძე საუბრობს.***

– არა მხოლოდ ძებნილის, არამედ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის ინტერესების დაცვაა საჭირო. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ვალდებულება, რომ მისი ყოველი მოქალაქე იქნება სამართლებრივად დაცული, მით უმეტეს ის პირი, ვინც უშუალოდ არ მონაწილეობს მის მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლებრივი დევნის პროცესში. იგი არ შეიძლება დარჩეს დაცვის უფლების გარეშე.

საკითხის უკეთესად გარკვევის მიზნით უნდა ვიცოდეთ ვინ შეიძლება იყოს ძებნილი და რა ეტაპიდან ითვლება პირი ძებნილად. მას შემდეგ, რაც პიროვნება ჩაიდენს დანაშაულს, გააცნობიერებს, რომ მან სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედება ჩაიდინა და მიიმალება, გამომძიებელს უფლება ეძლევა ამ პირის მიმართ გამოიტანოს დადგენილება მისი ეჭვმიტანილად ცნობისა და დაკავების შესახებ, ან სცნოს იგი ბრალდებულად, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმალული პირის მიმართ დაიწყება სისხლის სამართლებრივი დევნა. ბრალდებულის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და ბრალდების წაყენების შემდეგ (ბრალდების წაყენებად ითვლება, ბრალდებულის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გაცნობა მისი ადვოკატისათვის) გამომძიებელს უფლება აქვს პროკურორის თანხმობით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების გამოყენება. ამის შემდეგ შესაბამისი საგამოძიებო ორგანოები აცხადებენ ამ პიროვნების ძებნას. სწორედ ამ მომენტიდან ითვლება პირი ძებნილად.



ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსალოდნელი სასჯელის

***გაგრძელება მე-3 გვ.***

## ახალი ამბები

### იმერეთის-ქუთაისის ბიურო გასვლითი კონსულტაციები

იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის-ქუთაისის ბიუროს იურისტები დღეს სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშს ეწვივნენ. ვიზიტის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის სამართლებრივი პრობლემების შესწავლა და უფასო კონსულტაციების გაწევა.

საზოგადოებრივმა ადვოკატებმა ყურადღება გაამახვილეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა უძრავი ქონების რეგისტრაცია, მემკვიდრეობის მიღება და სამეზობლო დავები. გარდა ამისა, მოსახლეობა გაეცნო უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობებს. მოქალაქეებს სხვადასხვა სამართლებრივ თემაზე შედგენილი ბუკლეტები გაურიგდათ.

მსგავსი შეხვედრა უკვე ჩატარდა სოფელ დიდი ჯიხაიშის მოსახლეობისათვის. იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ასამაღლებლად ღონისძიებებს მომავალშიც განახორციელებს.

### ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევები საზოგადოებრივი ადვოკატებისთვის

ბათუმში დასრულდა საზოგადოებრივი ადვოკატებისათვის ორგანიზებული ტრენინგი, რომელიც დამარწმუნებელი კომუნიკაციასა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევებს ეხებოდა. სწავლება ჩატარდა ევროკავშირის □კანონის უზენაესობის მხარდაჭერის□ პროექტის ფარგლებში, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ადამიანური რესურსების განვითარება წარმოადგენს.

ოთხდღიანი ტრენინგი, რომელსაც ფსიქოლოგები - ვაჟა კვერნაძე და ლელა გიორგობიანი უძღვებოდნენ, თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობას მოიცავდა. ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა კომუნიკაციის ეფექტურობის ფაქტორები, შეტყობინების ოთხი მხარე, პარტნიორზე ორიენტირებული კომუნიკაცია, ეფექტური კომუნიკაციის ეტაპები და დონეები, პრეზენტაციის ტექნიკა, სხეულის ენის ადეკვატური აღქმა, კომუნიკაციის არავერბალური არხებით სასურველი გავლენის მოხდენა, დამარწმუნებელი კომუნიკაცია და არგუმენტირების ტექნიკა, სხეულის პოზიტიური ენა პრეზენტაციისას და სხვა.

ალსანიშნავია, რომ ეფექტური კომუნიკაციის უნარები საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა. ეს უნარები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედების გათვალისწინებით.

### ტრენინგი ოჯახში ძალადობის საკითხებზე

30-31 ივლისს, იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის-ქუთაისის ბიურომ უმასპინძლა ოჯახში ძალადობის საკითხებზე ორგანიზებულ ტრენინგს, რომელსაც საშტატო და მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატები დაესწრნენ. სწავლება ჩატარდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ორგანიზებით.

ტრენინგს ექსპერტები - მარინა მესხი და გიორგი ლაითაძე უძღვებოდნენ. სწავლების ფარგლებში, მათ ყურადღება გაამახვილეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები და ოჯახში ძალადობის ძირითადი მახასიათებლები, ოჯახში ძალადობის დეფინიცია, მსხვერპლი და მოძალადე, ოჯახის წევრის ცნება, ძალადობის ფორმები, ოჯახში ძალადობის გავლენა არასრულწლოვნებზე, ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურები, მსხვერპის სტატუსის განსაზღვრა და სხვა. ტრენინგის მონაწილეებმა პრაქტიკული მაგალითებიც განიხილეს.

ტრენინგი შემაჯამებელი დისკუსიით დაიხურა.

# დევნილების თანადგომა იურიდიული დახმარების სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტია

*პირველი გვერდიდან*

ურის ქვემო ქართლის ბიუროს კონსულტანტი დიმიტრი სამხარაძე.

როგორც დიმიტრი სამხარაძე განმარტავს, იურიდიული დახმარების სამსახური მთელი საქართველოს მასშტაბით კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებთან პერმანენტულად აწყობს გასვლით კონსულტაციებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურია ქვემო ქართლის ბიურო, რომლის თანამშრომლებიც გასულ და მიმდინარე წელს სულ 900 დევნილის ოჯახს შეხვდა - აქედან თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდაში შეხვდნენ 446 ოჯახს, მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანში 224, გარდაბანში 125, რუსთავში 100, წინწყაროში კი 5 ოჯახს.

„გასვლითი კონსულტაციების დროს მომზადებული გვქონდა ბლანკის ტიპის ანკეტები, რომესაც თვითოეული დევნილის ოჯახი ავსებდა. კითხვარში ფიქსირდებოდა მათი საიდენტიფიკაციო მონაცემები და ის პრობლემები, რომლებიც აწუხებდათ იძულებით გადაადგილებულებს. შემდეგ ხდებოდა ამ ანკეტების გაანალიზება და განზოგადება. როგორც შესწავლით გაირკვა, იძულებით გადაადგილებულებს ძირითადად აწუხებდათ საყოფაცხოვრებო პრობლემები, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის კომპეტენციაში არ შედის. მიუხედავად ამისა, ჩვენ ეს ინფორმაცია მივაწოდეთ ლტოლვილთა და განსახლების ქვემო ქართლის, მცხეთა—მთიანეთის და კახეთის რეგიონალურ სამმართველოს. ხოლო რაც შეეხება სამართლებრივ პრობლემებს, ყველა საქმეში აქტიურად ვიყავით ჩართულები და, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ თითქმის ყველა პრობლემა მოგვარებულია. დევნილების მთავარი პრობლემა იყო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენა - როგორიც არის დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების ფაქტების დადგენა. გარდა ამისა, მათ დაკარგული ჰქონდათ პასპორტები, მართვის მოწმობები და სხვა საჭირო დოკუმენტები. საჭირო მასალების მომზადების შემდეგ მივმართეთ სასამართლოს და ამ გზით მოვაგვარეთ ეს პრობლემები. ასევე იყო ფართობის დაკანონების პრობლემა. ეს საკითხი უშუალოდ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს კომპეტენციაში შედის, ჩვენ მაინც მივაწოდეთ ინფორმაცია და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს პრობლემაც მოგვარებულია,“ -აცხადებს დიმიტრი სამხარაძე.

გასვლითი კონსულტაციების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება არის ის, რომ დევნილებმა გაიგონ იმ სამსახურის არსებობა, რომელიც მათ იურიდიულ დახმარებას უფასოდ გაუწევს. როგორც დიმიტრი სამხარაძე ირწმუნება, ამ შეხვედრების შემდეგ, დევნილები თავადაც მიდიან იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროებში და სხვადასხვა პრობლემის მოგვარებაში დახმარებას ითხოვენ.

„შეხვედრების შემდეგ თითქმის თითოეულ დევნილს ვაძლევთ ჩვენს კოორდინატებს, სამსახურის მისამართს და ვუნმარტავთ, რა შემთხვევაში შეუძლიათ მოგვმართონ. სხვათა შორის, არც თუ იშვიათად მოგვმართავენ დევნილები და სხვადასხვა პრობლემის მოგვარებას გვთხოვენ,“ - ამბობს იურიდიული დახმარების ქვემო ქართლის ბიუროს კონსულტანტი.

ერთ-ერთი გასვლითი კონსულტაციის შემდეგ, ქვემო ქართლის ბიუროს დახმარებით მიმართა სამაჩაბლოს ტერიტორიიდან დევნილმა ქალბატონმა. ამ ქალბატონმა ომის დროს საბუთების წამოღება ვერ შეძლო, რის გამოც ვერ ადასტურებს შრომით სტაჟს. ამ მიზეზით კი მას დღემდე არ ენიშნება პენსია. იურიდიული დახმარების ქვემო ქართლის ბიუროს კონსულტანტის დიმიტრი სამხარაძის დახმარებით მომზადდა შესაბამისი დოკუმენტები. იურისტმა პირველ ეტაპზე განცხადებით მიმართა სოციალური მომსახურების რუსთავის სააგენტოს, საიდანაც დევნილისთვის პენსიის დანიშვნაზე უარი განაცხადეს. ეს უარი იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტმა ცენტრალურ ოფისში გაასაჩივრა, სადაც სააგენტოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს. ამჟამად დევნილის საპენსიო დავა გასაჩივრებულია სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში. დიმიტრი სამხარაძეს იმედი აქვს, რომ იძულებით გადაადგილებული ქალბატონის პრობლემა საბოლოოდ მართლმსაჯულების გზით მოგვარდება. მანამდე კი რამდენიმე საინტერესო საქმის შესახებ:

#### საქმე №1

2010 წლის 10 მარტს თბილისის ბიუროში მივიდა მოქალაქე ე. ე., რომელმაც განაცხადა, რომ იყო აფხაზეთიდან დევნილი, სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული და არ ჰქონდა საშუალება კერძო ადვოკატის მომსახურებით ესარგებლა.

საქმის მასალების მიხედვით, იგი აფხაზეთის ტერიტორიის იძულებით დატოვების შემდეგ, 90-იანი წლებიდან ცხოვრობდა თბილისში, კონკრეტულ მისამართზე. მან საცხოვრებელი სახლი ანდერძის და 1997 წელს სამგორის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღო. მისმა მოწინააღმდეგემ, რომელმაც იგივე საცხოვრებელი სახლი პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე დაიკანონა და საჯარო რეესტრშიც 2006 წლიდან უკვე მესაკუთრედ იყო რეგისტრირებული, მოითხოვა მისი გამოსახლება, როგორც ერთადერთმა მესაკუთრემ.

მოსარჩელეს არგუმენტი ხანდაზმულობის ვადის გასვლას ეფუძვნებოდა, რადგან ე. ე-ს არ ჰქონდა რეგისტრირებული საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში 1997 წელს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საფუძველზე და, შესაბამისად, იგი არ იყო მესაკუთრე. სასამართლო გადაწყვეტილება იყო აღუსრულებელი და მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების 10 წლიანი ვადა გაშვებული ქონდა და დაკარგული ქონდა საკუთრების უფლება.

იურიდიული დახმარების სამსხურში ერთ დღეში მომზადდა შესაგებელი და შესაბამისი კონსულტაციის შედეგად გამყარდა მტკიცებულებებით. სასამართლო სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გაიმართა. შესაგებელ სარჩელში აღნიშნული სამართლებრივი დასაბუთების და წარდგენილი მტკიცებულებების შემდეგ, მოწინააღმდეგე დარწმუნდა სარჩელის უპერსპექტივობაში და თავისივე გადაწყვეტილებით უკან გამოიხმო წარდგენილი სარჩელი. მოქალაქე ე. ე.-ს ოჯახი დღესაც ამ ბინაში ცხოვრობს.

#### საქმე №2

ახალგორის მკვიდრმა, ამჟამად დევნილმა ქალბატონმა თავის ორ თანამშრომელთან ერთად, იურიდიული დახმარების სამსახურის მცხეთა-მთიანეთის ბიუროს კონსულტაციისთვის მიმართა.

მისი ინფორმაციით, ახალგორში ფუნქციონირებდა მეტეოროლოგიური სადგური, სადაც იგი მთავარ სპეციალისტად მუშაობდა. 2005 წლის 8 აგვისტოს სადგური გააუქმეს. ქალბატონს კი მიუღებელი დარჩა მისი კუთვნილი სახელფასო დავალიანება, რომელიც შეადგენდა 595 ლარს. მიუხედავად იმისა, რომ მან არაეთხელ მიმართა დეპარტმენტს, თანხის მიღება ვერ შეძლო.

იურიდიული დახმარების სამასხურის თანამშრომელთა დახმარებით მეტეოროლოგიური სამსახურის თანამშრომლებმა სასამართლოში სარჩელის შეტანისათვის საჭირო დოკუმენტაცია შეადგინეს.

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტის მარინე ბარაქაძის თქმით, მან დაზარალებულ დევნილს ჯერ ზეპირად გაუწია კონსულტაცია, რის შემდეგაც მოამზადა სამართლებრივი დოკუმენტი - სარჩელი, რომლითაც მათ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართეს. მოსამართლემ ეს სარჩელი დააკმაყოფილა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ამ სამი მოქალაქის სახელფასო დავალიანების ანაზღაურება დაეკისრა.

# ყაჩაღობაში ბრალდებულის საქმე წინასწარ გამოძიებაშივე შეწყდა

***სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები მიმდინარე წელს 5000-მდე სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთვნენ. აქედან 100-ზე მეტი საქმე საზოგადოებრივი ადვოკატების დაცვის ქვეშ მყოფთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტით დასრულდა. ერთ-ერთ ასეთ წარმატებულ საქმედ ითვლება იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატის გია ფარადაშვილის წარმოებაში არსებული ყაჩაღობის საქმე.***

ცოტა ხნის წინ იურიდიული დახმარების სამსახურის კახეთის ბიუროს ადვოკატის ძალისხმევით, კახეთის ერთ-ერთმა საგამოძიებო ორგანომ ყაჩაღობაში ბრალდებული გიორგი ოსეფაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა. (უდანაშაულობის პრეზუფციიდან გამომდინარე ბრალდებულის და საქმეში დასახელებული სხვა პირების გვარები შეცვლილია).

საზოგადოებრივი ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფს ბრალად ედებოდა ბინაში უკანონო შეღწევით ყაჩაღობა, რაც სასჯელის სახით რვიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამასთან, გამოძიების მტკიცებით, ახალი დანაშაულის ჩადენის მომენტში გიორგი ოსეფაშვილი მსჯავრდებული იყო. იგი სხვისი ქონების მითვისებისა და გაფლანგვისათვის პირობით სასჯელს იხდიდა. ეს კი მის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა.

სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა გიორგი ოსეფაშვილმა, თანხის დაუფლების მიზნით, გურჯაანში მცხოვრები ზეინაბ მოსიაშვილის დაყაჩაღება გადაწყვიტა. ბრალდებულმა უკანონოდ შეაღწია დაზარალებულის საცხოვრებელი სახლში და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ზეინაბ მოსიაშვილისგან ფულს ითხოვდა. ეს პროცესი 15-20 წუთს გაგრძელდა. ამ დროს გიორგი ოსეფაშვილს ქუჩიდან შემოესმა ხმაური და იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

საქმეში ჩართვის შემდეგ, გია ფარადაშვილი გაესაუბრა ბრალდებულს და საქმის მასალების შესწავლა დაიწყო. როგორც აღმოჩნდა, გიორგი ოსეფაშვილს გააჩნდა ალიბი, რომელიც მის უდანაშაულობას ადასტურებდა. კერძოდ, დანაშაულის ჩადენის დროს იგი იმყოფებოდა მეზობელ სოფელ შაშიაანში, სადაც ჯერ იქეიფა, შემდეგ დაიძინა და გამთენიისას ფეხით გაემართა სახლისკენ - სოფელ ჩუმლაყში.

ამის შემდეგ, საზოგადოებრივმა ადვოკატმა მოითხოვა იმ პირთა დაკითხვა, რომლებიც გიორგი ოსეფაშვილის ალიბის უტყუარობას დაადასტურებდნენ. სწორედ ამ პირთა ჩვენებებმა დაარწმუნეს ბრალდების მხარე გია ფარადაშვილის დაცვის ქვეს მყოფის უდანაშაულობაში. საბოლოოდ, გიორგი ოსეფაშვილი დაკავებიდან გაათავისუფლეს და მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა.

# საზოგადოებრივი ადვოკატები ძებნილის ინტერესებს იცავენ

*პირველი გვერდიდან*

შიშით, თუ სხვადასხვა მოტივაციით, ადამიანი თავს არიდებს გამოძიების ორგანოებში გამოცხადებას და ცდილობს მიმალვას, რაც მათ მდგომარეობას არანაირად არ ამსუბუქებს. პირიქით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც კანონი იძლევა საშუალებას პიროვნება დაუსწრებლად, ანუ მისი მონაწილეობის გარეშე იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დაუსწრებლად შეეფარდოს აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრება, ჩატარდეს მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, წარიმართოს საქმე სასამართლოში და ა.შ.

ძებნილის სავალდებულო დაცვა კი საჭიროა იმიტომ, რომ იგი უშუალოდ არ მონაწილეობს საქმის განხილვაში, მოკლებულია შესაძლებლობას - სრულყოფილად განახორციელოს საკუთარი თავის დაცვა. აქედან გამომდინარე, ძებნილი პიროვნების მიმართ ადგილი რომ არ ქონდეს კანონის მოთხოვნათა დარღვევას, სასამართლოს მიერ არ იქნას გამოტანილი უკანონო განაჩენი, კანონმდებელმა სავალდებულოდ მიიჩნია ადვოკატის მონაწილეობა იმ პირთა საქმეებზე, რომლებიც თავს არიდებენ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში გამოცხადებას.

**- ადვოკატი ძებნილს წინასწარ გამოძიებაშიც იცავს თუ მხოლოდ სასამართლოზე?**

- ისე ნუ გავიგებთ, თითქოს ძებნილი პიროვნების დაცვას ახორციელებს მხოლოდ სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული ადვოკატი, რომელიც მხოლოდ წინასწარ გამოძიებაში ან სასამართლოში დაიცავს პირს. თუ ეჭვმიტანილი ან ბრალდებული თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მას ან მის ახლო ნათესავს ეძლევა შესაძლებლობა 48 საათში დანიშნოს დამცველი საკუთარი ხარჯით. (ამის შესახებ მათ გამომძიებელი ატყობინებს). თუ ისინი ამ ვადაში არ დანიშნავენ დამცველს, პირს ადვოკატი დაენიშნება სავალდებულო წესით. ამისათვის, გამომძიებელი გამოიტანს მოტივირებულ დადგენილებას დამცველის სავალდებულო წესით დანიშვნის შესახებ, ხოლო ამ დადგენილების საფუძველზე დასაცავ პირს გამოეყოფა ადვოკატი, რის შემდეგაც დაცვა მიღებულად ითვლება და დამცველს ეძლევა შესაძლებლობა განახორციელოს ძებნილის კანონიერი ინტერესების დაცვა. იგივე წესი მოქმედებს სასამართლოშიც, ანუ არ შეიძლება ძებნილი პირი დარჩეს დაცვის უფლების გარეშე. კანონის მოთხოვნაა ასეთი, რომ მას სავალდებულო წესით უნდა დაენიშნოს დამცველი.

**- თქვენი აზრით, რატომ გარბის ადამიანი, მან ხომ იცის, რომ უფრო მეტი პრობლემები შეექმნება?**

- ვფიქრობ, ეს საკითხი უფრო მეტად ადამიანის ფსიქოლოგიურ მომენტებს უკავშირდება. ხშირ შემთხვევაში ფიქრობენ, რომ თავს დააღწევენ მართლმსაჯულებას და მოსალოდნელ სასჯელს, ან თვლიან, რომ მომავალში ვითარება მათ სასიკეთოდ შეიცვლება. ხდება ისეც, რომ ელოდებიან ამინისტიის შესახებ კანონის მიღებას, რომელიც მათ პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გაათავისუფლებს. მაგრამ ყველაზე ცუდი მომენტი ის არის, როცა პირი არ გაურბის პასუხისმგებლობას, არ ცდილობს მართლმსაჯულებისაგან თავის დაღწევას, არ ემალება გამოძიებას, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო, საქმე მაინც მის დაუსწრებლად იხილება. მე პირადად, მქონდა შემთხვევა, როდესაც I ინსტანციის სასამართლოში ვიცავდი ე.წ. ძებნილს, თუმცა, როგორც გაირკვა, იგი სულაც არ ყოფილა ძებნილი. იგი სასამართლო სხდომაზე არ ცხადდებოდა მხოლოდ იმის გამო, რომ სასჯელს იხდიდა საპყრობილეში და მისთვის არც კი იყო ცნობილი, რომ მის საქმეს სასამართლო განიხილავდა. მე დავუკავშირდი ამ პიროვნებას მაშინ, როცა სულ რამოდენიმე საათის გამოსული იყო ციხიდან, ჩავაყენე საქმის კურსში და მას შემდეგ კეთილსინდისიერად, ისე რომ გუნებაშიც კი არ გაუვლია მიმალვა, ცხადდებოდა სასამართლო სხდომებზე და საკმაოდ ლმობიერი სასჯელიც მიიღო. იმ შემთხვევაში, მას თავი რომ აერიდებინა გამოცხადებისათვის და მიმალულიყო, უფრო მკაცრ სასჯელს მიიღებდა, რადგან სასამართლო თავის არიდებას მიიჩნევს დამამძიმებელ გარემოებად და ყოველთვის ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნისას.

**- რა სპეციფიურობა ახასიათებს ასეთ საქმეებს?**

- ასეთი საქმეების სპეციფიურობა მდგომარეობს იმაში, რომ იხილება პირის უშუალო მონაწილეობის გარეშე, მის დაუსწრებლად, რაც ართულებს დაცვის განხორციელებას. დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას სრულყოფილად განახორციელოს დაცვა, ვინაიდან უცნობია დასაცავი პირის პოზიცია წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით. ასევე სპეციფიურია ის, რომ ადვოკატს არ აქვს უფლება გაასაჩივროს განაჩენი მსჯავრდებულის თანხმობის გარეშე. მსჯავრდებულს, რომლის მიმართაც სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი მის დაუსწრებლად, უფლება აქვს განაჩენი გაასაჩივროს 1 თვის ვადაში დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოში გამოცხადების მომენტიდან. თუმცა, ამ ბოლო დროს საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, თუ მსჯავრდებული ითხოვს და ეს თანხმობა წერილობითაა დაფიქსირებული, შესაძლებელია განაჩენის გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში სააპელაციო საჩივარი განხილულ იქნეს მისი მონაწილეობის გარეშეც.

**- მომავალში, როცა პიროვნება ძებნილი აღარ არის, საზოგადოებრივი ადვოკატი თუ რჩება მის ადვოკატად?**

- ეს დამოკიდებულია პიროვნების ნება-სურვილზე, მის შესაძლებლობაზე. მას, რა თქმა უნდა, არ ერთმევა უფლება უარი განაცხადოს სავალდებულო წესით დანიშნულ ადვოკატზე. შეუძლია მოიწვიოს დამცველი შეთანხმებით, რომელიც გააგრძელებს მის დაცვას შემდგომ ინსტანციებში. მაგრამ ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც დაძებნის შემთხვევაში პირი არათუ უარს ამბობს სავალდებულო წესით დანიშნულ ადვოკატზე, არამედ პირიქით, საკმაოდ დიდი სურვილი უჩნდება, რომ დაცვა განახორციელონ სწორედ სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულმა ადვოკატებმა.

**- როგორც იურისტი, რას ურჩევდით ძებნილებს?**

- როგორც იურისტი, ვურჩევდი ძებნილებს, ნებაყოფლობით გამოცხადდნენ საგამოძიებო ორგანოებში, რაც დაფიქსირდება შესაბამის ოქმში, ხოლო შემდგომში, საქმის განხილვისას და განაჩენის დადგენისას, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული როგორც ერთ-ერთი შემამსუბუქებელი გარემოება. ეს კი შედარებით ლმობიერი სასჯელის საფუძველი გახდება.

## თქვენი ადვოკატი

**1. მე და ჩემი მეუღლე აღარ ვცხოვრობთ ერთად. მინდა განქორწინება. როგორ მოვიქცე?**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით განქორწინება შეიძლება მოხდეს ორი გზით;

- თუ მეუღლეებს არა აქვთ დავა უნდა, მიმართონ სამოქალაქო რეესტრს. ამ შემთხვევაში საჭიროა მეუღლეთა ერთობლივი განცხადება.
- სასამართლოს უნდა მიმართონ იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეებიდან ერთ-ერთი არ არის თანახმა განქორწინებაზე, ან აქვთ რაიმე სახის დავა.

**2. მე და ჩემი მეუღლე არა ვართ განქორწინებულები, მაგრამ ვცხოვრობთ ცალ-ცალკე. შემიძლია თუ არა მოვითხოვო ალიმენტი ჩემთან მცხოვრები არასრულწლოვანი შვილებისათვის?**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მშობლები ვალდებული არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, ამასთან, ალიმენტის მოთხოვნის უფლება წარმოეშობა იმ მშობელს, რომელთანაც ცხოვრობს არასრულწლოვანი შვილი, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა მშობლები განქორწინებული.

**3. ჩემს დაბადების მოწმობაში დაფიქსირებული სახელი არ ემთხვევა პირადობის მოწმობაში დაფიქსირებულ სახელს. როგორ მოვიქცე?**

სამოქალაქო რეესტრის მიერ ხდება ასეთი შეცდომების გასწორება. შეცდომის გასასწორებლად საჭიროა, რომ მოქალაქემ წარადგინოს სამოქალაქო რეესტრში განცხადება, სადაც უთითებს შეცდომის შინაარსს და ხასიათს, აგრეთვე იმ დოკუმენტების ასლები, რომელშიც არის შეცდომა.

**4. მაქვს ანდერძი, რომელიც დაწერილია ჩემს სასარგებლოდ. მამკვიდრებლის გარდაცვალებს შემდეგ შევუდექი ქონების ფაქტობრივ ფლობას, მაგრამ ნოტარიუსმა უარი მითხრა სამკვიდრო მომწობის გაცემაზე იმ მოტივით, რომ ვერ ვადასტურებდი ფაქტობრივი ფლობის ფაქტს. როგორ მოვიქცე?**

უნდა მიმართოთ სასამართლოს განცხადებით და მოითხოვოთ ქონების ფაქტობრივი ფლობისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის შესახებ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა.

**5. მყავს ფსიქიკურად დაავადებული შვილი, ამის გამო დანიშნული აქვს პენსია, იგი გახდა 18 წლის და ამის გამო ველარ ვახერხებ ჩემი სახელით მისი პენსიის აღებას. როგორ მოვიქცე?**

უნდა მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ შვილის ქმედუუნაროდ აღირება. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ან ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა პირის შერაცხადობის თაობაზე ან შუამდგომლობა, რომ პირი თავს არიდებს ექსპერტიზის გავლას და დაენიშნოს სასამართლოს მიერ ასეთი ექსპერტიზა.

**6. ვარ კომლში ჩაწერილი როგორც კომლის წევრი თუმცა არ ვცხოვრობ კომლთან ერთად. მაქვს თუ არა რაიმე უფლება კომლის ქონებაზე**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კომლის ქონება წარმოადგენს კომლის ყველა წევრის თანასაკუთრებას. აქედან გამომდინარე კომლის ქონებაზე გაქვთ ისეთივე უფლება, როგორც კომლის სხვა წევრებს.

**7. მაქვს მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო მოწმობები, ითვლება თუ არა მიწა ამ მოწმობით ჩემს საკუთრებად და ჭირდება თუ არა მას სადმე რეგისტრაცია.**

საკუთრების დასაცავად საჭიროა მოხდეს ამ მოწმობების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრებად.

**8. მაქვს აღებული კრედიტი ბანკიდან, ვერ ვახერხებ გადახდას. შეუძლია თუ არა ბანკს მოხდინოს ჩემთვის სესხის გადავადება?**

ბანკის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული სესხის გადავადება. მოვალე კი ვალდებულია დაფაროს ვალი სრულად.

**9. მაქვს ხელწერილი, რომლითაც მოვალე მიღიარებს ვალს. შემიძლია თუ არა მივმართო სასამართლოს ვალის დასაბრუნებლად?**

შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს ან სარჩელით, ან განცხადებით, რომლითაც შეგიძლიათ მოითხოვოთ სასამართლოს მიერ გადახდის ბრძანების მიღება.

**10. მაქვს დოკუმენტები, რომლითაც ვადასტურებ, რომ ვარ ჩემს მფლობელობაში არსებული ფართის კანონიერი მოსარგებელე. ვის უნდა მივმართო პრივატიზაციისათვის?**

უნდა მიმართოთ ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოს განცხადებით, წარუდგინოთ დოკუმენტები და მოითხოვოთ ფართის პრივატიზება.

**მოქალაქეების კითხვებზე პასუხი მოამზადეს იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთი - ზესტაფონის ბიუროს იურისტებმა**

რეგიონი

# ახალგაზრდა ბიურო სამცხე-ჯავახეთში – ცნობადობასთან ერთად ნდობაც იზრდება

*მიმდინარე, 2010 წლიდან ახალციხის რეგიონში იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო ფუნქციონირებს, სადაც მოქალქეებს უფასოდ ემსახურებიან.*

***სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო ქალაქ ახალციხეში, თაბუკაშვილის №17-ში მდებარეობს. ბიურომ ფუნქციონირება 2010 წლის 25 იანვრიდან დაიწყო და ეს გაეროს განვითარების პროგრამის აქტიური მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი. აქ დასაქმებულია ექვსი საზოგადოებრივი ადვოკატი, ერთი კონსულტანტი და ერთი სპეციალისტი. სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურომ ოფისის პრეზენტაცია მიმდინარე წლის 22 აპრილს მოაწყო.***

***იურიდიული დახმარების სამცხე - ჯავახეთის ბიუროს 2010 წლის იანვრიდან დღემდე წარმოებაში მიღებული აქვს: 138 სისხლის სამართლის საქმე. აქედან არასრულწლოვანთა დაცვასტან დაკავშირებით - 7;***

გაწეული აქვს 280 იურიდიული კონსულტაცია; შემოსულია 47 მოქალაქეთა მიმართვა.

***გაგრძელება მე-4 გვ.***



იურიდიული დახმარების ბიუროს გახსნაზე

## თქვენი მეგზური

*იურიდიული დახმარების სამსახურის მიმართვის წესები:*

* სისხლის სამართლის საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის თხოვნით იურიდიული დახმარების სამსახურს შეგიძლიათ მიმართოთ პირადად, ახლო ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

*ვინ შეიძლება ისარგებლოს საზოგადოებრივი ადვოკატის მომსახურებით?*

* კანონით დადგენილი წესით იძულებით დაცვას დაქვემდებარებულმა ყველა დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა.

* იმ დაკავებულმა, ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, მსჯავრდებულმა და დაზარალებულმა, რომელიც ამავე დროს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახის წევრია და მისი სარეიტინგო ქულა შეადგენს: 1) 70 ათასს ან ნაკლებს; 2) 100 ათასს და ნაკლებს, და მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლითაგან ერთ-ერთ კატეგორიას:

ა) იმ მრავალშვილიანი ოჯახის წევრი, რომელსაც ჰყავს 3 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი;

ბ) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი;

გ) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი;

დ) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სრულწლოვანი პირი;

ე) მკვეთრად, მნიშვნელოვანად ან ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, თუ შესაძლებლობის შეზღუდვა მიმდინარეობს ბავშვობიდან;

ვ) 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვი;

ზ) რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირი.

* განსაკუთრებულ შემთხვევებში, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს უფლება აქვს თანხმობა განაცხადოს საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნაზე იმ პირისათვის, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ კრიტერიუმებს, მაგრამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ვერ გაწევს საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

*უფასო იურიდიული კონსულტაცია:*

იურიდიული დახმარების ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებში უფასო იურიდიული კონსულტაციის მიღება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ პირს ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე, როგორც სისხლის სამართლაზე, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავებისას. კონსულტანტები მოქალაქეებს მისვლის დღესვე მიიღებენ.

საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის ფარგლებში შესაძლებელია იურიდიული დოკუმენტების მომზადება.

**იურიდიული დახმარების სამსახურის მისამართებია:**

**თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: სარაჯიშვილის გამზ. №1, მე-3 სართ
ტელ: 8(32) 623324;

**კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: თელავი, ერეკლე II გამზ. №8
ტელ: 8 (250) 71538;

**მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელ: 8(32) 513873;

**ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: რუსთავი, ბათუმის ქ. №17,
ტელ: +995(24) 15-77-22

**შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის.: გორი, სამეფოს ქ. №54
ტელ: 8 (270) 79556 8(95) 901704

**იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს**
მის: ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ: 8 (292) 40250;

**იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: სადგურის მოედანი №3
ტელ: 8 (231) 5-34-11

**სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24
ტელ: 8 (215) 53472;

**სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37
ტელ: 8 (293) 43332;

**აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის.: ბათუმი, წერეთლის შესახვევი №6
ტელ: 8 (88 222) 31799;

**სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო**
მის: ახალციხე, თაბუკაშვილის №17
ტელ: 891 115571

**ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი**
მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
ტელ: 895 308847

**ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი**
მის.: ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სარ.
ტელ: 8(296) 73824

**იურიდიული დახმარების სამსახური**
რუსთაველის №30, თბილისი 0146, საქართველო
ტელ: (+995 32) 988493; 932090
ფაქსი: (+995 32) 988493
info@legalaid.ge; www.legalaid.ge

**რეგიონი**

# ახალგაზრდა ბიურო სამცხე-ჯავახეთში – ცნობადობასთან ერთად ნდობაც იზრდება

*დასაწყისი მე-3 გვ.*

ბიუროს ხელმძღვანელია დავით ზარიძე, რომელიც „საზოგადოებრივ ადვოკატს“ ბიუროს მუშაობის დეტალეზე ესაუბრება:

„ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონში უფასო იურიდიულ დახმარებას ორმაგი დატვირთვა აქვს“

**– რა მნიშვნელობა აქვს იურიდიულ ბიუროს სამცხე-ჯავახეთის რეგიონისთვის?**

ჩვენი რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იურიდიული დახმარების სამსახურის ბიუროს არსებობა, რადგან იგი უფასოდ ეწევა საადვოკატო საქმიანობას სისხლის სამართლის საქმეზე. ამას გარდა, სამართლის ყველა დარგში უწევს მოქალაქეებს იურიდიულ კონსულტაციას და უმზადებს სამართლებრივ დოკუმენტებს.

სისხლის სამართლის სფეროში საადვოკატო მომსახურება ეწევათ იმ პირებს, ვინც არის სოციალურად დაუცველი და რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში. გამონაკლის შემთხვევებში ბიურო ემსახურება იმ პირებსაც, ვინც არ არის აღნიშნულ ბაზაში რეგისტრირებული, მაგრამ არ აქვს შესაძლებლობა დაიქირაოს ადვოკატი. ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობის ერთ ერთი საფუძველია ასევე, თუ პირმა, ვის მიმართაც მიმდინარეობს სისიხლის სამართლებლივი დევნა, არ იცის სამართალწარმოების ენა (ქართული), რაც ჩვენი რეგიონისთვის განსაკუთრებით არის დამახასიათებელი, რადგანაც რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია და ბევრმა მათგანმა არ იცის სამართალწარმოების ენა.

ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონში უფასო იურიდიულ დახმარებას ორმაგი დატვირთვა აქვს. ამდენად, ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია იყოლიოს დამცველი მისი ეთნიკური წარმოშობის, ფინანსური შესაძლებლობებისა თუ სოციალური მდგომარეობის მიუხედავად და ისარგებლოს კონსტიტუციითა და საერთშორისო ხელშეკრულებით გარანტირებული დაცვის უფლებით.

**რამდენად ეფექტურია იურიდიული ბიუროს მუშაობა?**

ეფექტურობა დამოკიდებულია მომსახურების ხარისხზე. ჩვენთან მოსახლეობა იღებს ხარისხიან და სწრაფ დაცვას. ამის საწინდარია ის, რომ ბიურო დაკომპლექტებულია პროფესიონალი თანამშრომლებით და ბიუროს იფისი აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აპარატურით, რაც ზრდის მუშაობის ეფექტურობას.

**როგორია მოსახლეობის აქტივობა და ნდობის თვალსაზრისით რა მდგომარეობაა?**

აქტივობა საკმაოდ მაღალია, მიუხდავად იმისა რომ აგვისტოს თვე გამოირჩევა ყოველთვის ნაკლები საქმეებით, ამ თვეში მაინც შემოვიდა 25 სისხლის სამართლის საქმე. მომზადდა 10 სამართლებრივი დოკუმენტი და იურიდიული კონსულტაცია გაეწია 36 მოქალაქეს.

ჩვენის სტატისტიკის მიხედვით ყოველთვიურად იზრდება იმ პირთა რაოდენობა, ვინც იღებს სამართლებრივ დახმარებას ბიუროსგან, ასევე ძალიან ხშირად მოგვმართავენ იურიდიული დახმარების მისაღებად ის პირები, ვისაც უკვე ნასარგებლები აქვს ჩვენი იურიდიული დახმარებით და სხვა საქმეზე საჭიროებენ იურიდიული დახამარების მიღებას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ცნობადობასთან ერთად ნდობაც იზრდება. როცა სოციალურად დაუცველ მოქალაქეს უფასოდ და უანგაროდ ეხმარები, ბუნებრივია, საზოგადოების მხრიდან ნდობაც გარანტირებული გაქვს.

**რა კეთდება იმისთვის, რომ რეგიონში ბიუროს ცნობადობა უფრო გაიზარდოს?**

მასობრივი ხასიათის მატარებელ პრობლემატურ იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით ეწყობა გასვლითი კონსულტაციები, რაც მიზნად ისახავს ადგილზე სამართლებრივი პრობლემის მოგვარების ხელშეწყობას.







იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიურომ დანაშაულის პრევენციის მიზნით მოაწყო შეხვედრები ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, მესხეთის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სტუდენტებთან, რეგიონის სხვადასხვა საჯარო სკოლების უფროსკლასელებთან, რომლებსაც წაეკითხათ ლექციები სხვადასხვა დანაშაულებებთან დაკავშირებით.

იურიდიული დახმარების სამსახური სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მოკლე დროის მანძილზე საკმაოდ პოლულარული და ცნობადი სამსახური გახდა, ამიტომ ჩვენი ბიურო მომავალში უფრო აქტიურად გეგმავს ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების განხორცილებას, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი სამსახურის მიერ დასახული მიზების შესრულება.

**წარმატებული საქმე**

# საზოგადოებრივი ადვოკატის „კლიენტები“ დარბაზიდანვე გაათავისუფლეს

2010 წლის თებერვლის ბოლოს იურიდიული დახმარების სამსახურის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს განცხადებით მიმართა საქართველოს მოქალაქემ ირა კ. -მ, რომელმაც ითხოვა დახმარება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისა და გადაკვეთის მცედელობისათვის დაკავებული სხვა სახელმწიფოს მოქალაქეების ინტერსების დასაცავად.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ახალციხის რაიონული სასამართლომ 2010 წლის 23 თებერვალს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა. მათი ინტერესების დაცვა დაევალა სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატს დავით კურტანიძეს.

ადვოკატი, საქმეში ჩართვის შემდეგ გაეცნო საქმის მასალებს, გაესაუბრა დასაცავ პირებს.

ადვოკატ დავით კურტანიძის ძალისხმევით, ოთხი თვის მუშაობის შემდეგ უცხო ქვეყნის მოქალაქეები გამართლებულები იქნენ და სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდნენ.

„საქმე ჩვენთან შემოვიდა სააპელაციო წესით გასაჩივრების ეტაპზე. ვმუშაობდი დაახლოებით ოთხი თვე. რთული სამუშაო იყო, იმდენად რომ განაჩენი იყო უკვე დამდგარი. დაუზუსტებელი იყო მათი ვინაობა, მოვიპოვე პასპორტები და წარუდგინე სასამართლოს. დარბაზიდანვე გათავისუფლდნენ და ქვეყანა დატოვეს“, - განაცხადა ადვოკატმა დავით კურტანიძემ.

Published with financial support of the United Nations Development Programme (UNDP)
The views expressed in this publication are those of the authors and do not necessarily represent those of the United Nations or UNDP.
გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.
წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

იურიდიული დახმარების სამსახური

გამოცემა მომზადებულია მედიის განვითარების ფონდის მიერ